გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 164

2023 წლის 8 სექტემბერი
ქ. გორი

ქ. გორში, სულხან-საბას ქუჩაზე, ახლად რეაბილიტირებულ საავტომობილო გზაზე №8 საჯარო სკოლის მიმდებარედ ორ ლოკაციაზე „ხელოვნური უსწორმასწორობების“ განთავსების შესახებ

ქ. გორში, სულხან-საბას ქუჩაზე, ახლად რეაბილიტირებულ საავტომობილო გზაზე №8 საჯარო სკოლის მიმდებარედ ორ ლოკაციაზე საჭიროა განთავსდეს ავტოსატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის შემზღუდველი ხელოვნური უსწორმასწორობები. აღნიშნული საკითხი შეისწავლა ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებამ, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოსთან ერთად და მიზანშეწონილად მიაჩნია ზემოთ აღნიშნულ ლოკაციაზე განთავსდეს სიჩქარის შემანელებელი ბარიერები გოსტ Р 52 605-2006-ის შესაბამისად, შემდეგი საგზაო ნიშნებთან ერთად: 1.18-„ხელოვნური უსწორმასწორობა“; 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა 30კმ/ სთ“; 5,20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

საგზაო უსაფრთხოების დაცვისა და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. გორში, სულხან საბას ქუჩაზე, ახლად რეაბილიტირებულ საავტომობილო გზაზე №8 საჯარო სკოლის მიმდებარედ ორ ლოკაციაზე შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს ზემოაღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე,

1. ქ. გორში, სულხან-საბას ქუჩაზე, ახლად რეაბილიტირებულ საავტომობილო გზაზე №8 საჯარო სკოლის მიმდებარედ ორ ლოკაციაზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობები“.
2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“ დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და დაიდგას შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“;
ბ) 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ (30 კმ/სთ);
გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**